საქართველოს პარლამენტი

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

თბილისი, 0118, რუსთაველის გამზ. 8.
ტელ: 28 16 44
ფაქსი: 92 24 09

№ 8513/4-12
„26" 06 2008 წ.

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის წევრის ირაკლი იაშვილისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა მიმდინარე წლის 26 ივნისს სხდომაზე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრის ირაკლი იაშვილის განცხადება უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე. როგორც პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე წარდგენილი განცხადებიდან ირკვევა, ბატონი ირაკლი იაშვილის გადაწყვეტილება განპირობებულია საკუთარი სურვილით.

საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს მიაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის წევრს ირაკლი იაშვილს ვადამდე უნდა შეუწყდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.

კომიტეტის თავმჯდომარე ნათუნა გოგორიშვილი